თითო ქულა

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 25 მაისი.

“დინამო” (თბილისი) _ “ტორპედო” (ქუთაისი) 0:0.

“ტორპედო”: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, მუმლაძე, ნიშნიანიძე, ავალიანი, ჩხარტიშვილი, მიროშნიკოვი, ხაჟალია, ბულია.

“დინამო”: კვასხვაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა, გ. სიჭინავა, ზეინკლიშვილი, ფიფია, ხელაძე, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

ათი წელია თბილისელ მაყურებელს არ უნახავს ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდი “ა” კლასში. ამიტომ ის უდიდესი ინტერესი, რომელიც დედაქალაქში გამოიჩინეს ქუთაისელ ტორპედოელთა მატჩის მიმართ გასაგებია. მითუმეტეს, ქუთაისლები ამ ტურისათვის ქულათა საკმაო რაოდენობით მოვიდნენ, ე.ი. ისინი კარგ ფორმაში იმყოფებიან.

ქუთაისელთა თამაშის ტაქტიკა, უფრო სწორად მათი მოთამაშეების განლაგება მატჩის მსვლელობაში საყოველთაოდ ცნობილია და ამიტომ [19] მიროშნიკოვის მაისურზე არავისთვის არ წარმოადგენდა მოულოდნელობას. ეს არის “შტატიანი” ნახევარმცველი, რომლის კონკრეტულ დავალებას გუშინ წარმოადგენდა დინამოელთა ყველაზე მოძრავი და აქტიური ფორვარდის იამანიძის ნეიტრალიზება ??სის “ტორპედო” აძ? დაცვის ხაზს საჯარიმო ? მისადგომებთან და წინ ??თავდამსხმელს, რომლებ??? წარმოებისას ეხმა???თი რომელიც ნახე???

¿უპირველეს ყოვლისა იცოდ??? ლებმაც, ამიტომ ჩვენ???რ მოულოდნელობას ¿??წარმოადგენდა მათი ტაქტიკა, ???მოწინააღმდეგის ზუს??ია იყო. ხელაძის [18] ისეთივე ფიქტიურ შუამარბობას წარმოადგენდა, როგორც მიროშნიკოვის ცენტრალური ფორვარდის მაისური. ხელაძეც ღრმა ზურგში იყო დაწეული და თავის თავდასხმასთან მხოლოდ შორეული “ნაცნობობა” ჰქონდა. ამ დანაკლისის კომპენსაცია “დინამოში” უპირველესად ევალებოდა გ. სიჭინავას და ისიც მხოლოდ იერიშის მომენტში. ორივე გუნდის მოთამაშეთა ასეთი განლაგების გამო სახიფათო მომენტები საჯარიმო მოედნებზე ერთობ იშვიათად იქმნებოდა და თამაშის მთელი სიმძიმე მინდვრის შუაგულს დააწვა.

დინამოელებმა საკმაოდ ენერგიულად დაიწყეს მატჩი. კალოევი სავსებით ლოგიკურად გაურბოდა პირისპირ ბრძოლას თორაძესთან და მარჯვენა ფლანგისაკენ იწევდა, რათა გაეთავისუფლებინა ცენტრალური ზონა კარის წინ პარტნიორების გასასვლელად. მან ნაწილობრივ მიაღწია კიდეც თავის მიზანს, მაგრამ ყველა გადაცემა კართან უშედეგოდ იკარგებოდა. აქ საიმედოდ მოქმედებდნენ “ტორპედოს” მცველები და უპირველეს ყოვლისა, მეკარე ურუშაძე. 21-ე წუთზე მან მეტად მძიმე სიტუაციაში შეძლო აეღო კალოევის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი. რამდენიმე წუთის შემდეგ იამანიძემ აკრობატულ ნახტომში საუცხოოდ შეასრულა დარტყმა თავს უკან ბურთის გადაგდებით, მაგრამ მისამართი არაზუსტი გამოდგა და ბურთი აცდა კარს.

ტაიმი ძირითადად დინამოელებისა იყო. ისინი მოქმედებდნენ უფრო დამაჯერებლად, ტექნიკური უპირატესობით, თუმცა ეს უპირატესობა, როგორც წესი, ვრცელდებოდა “ტორპედოს” საჯარიმო მოედნამდე. აქ ყველაფერი იმსხვრეოდა ქუთაისელთა დაცვასთან შეტაკებისას.

ბრძოლის სურათი უცვლელი იყო შესვენების შემდეგაც, დაახლოებით მე-15 წუთამდე. ?? ბურთის გატანის რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა: ხაჟალია კარგად გავიდა მცველებს შორის და მარჯვნივ გადასცა ჩხარტიშვილს, რომელსაც წინ მხოლოდ მეკარე შერჩა. ფორვარდმა წამით დააყოვნა და ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კვასხვაძეს მიესწრო ბურთისათვის. ამ მომენტიდან დაწყებული ქუთაისელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ, მოიმატა ტემპმა, გაუმჯობესდა ნახევარმცველთა თამაში, შეტევას უფრო გეგმიანი, ეფექტური ხასიათი მიეცა და გუნდმა დარჩენილი დრო თავისი უპირატესობით ჩაატარა.

განვლილ მატჩში ორივე გუნდის თავდასხმა ჩამორჩებოდა დაცვას, როგორც რიცხობრივი შემადგენლობით ისე თამაშის პროდუქტიულობითაც, ამიტომ 90 წუთს შედეგი არ მოუცია _ 0:0.

დუბლიორთა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისის დინამოელებმა _ 3:1.

ა. ზაზრომშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატი;
ბ. ქორქია.
“ლელო”, 26 მაისი, 1962 წ.